

შპს „ექსკალიბური“

შპს „ექსკალიბური“

2021 წლის

ფინანსური ანგარიშგება


შინაარსი

2021 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	6
4. შემოსავალი	6
5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6
6. ძირითადი საშუალებები	7
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7
10. გადასახადები	8
11. დაკავშირებული მხარეები	8
12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები	8
(ა) შემოსავალი	8
(ბ) სხვა ხარჯები	9
(გ) ძირითადი საშუალებები	9
(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	10

2021 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


ლარი	შენიშვნა	2021
შემოსავალი	4	866126
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
საერთო მოგება		866126
სხვა შემოსავალი		7828
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	5	(282761)
მიწოდების დანახარჯები		
სხვა შემოსულობები		
სხვა ხარჯი		(114513)
საოპერაციო მოგება		476680
ფინანსური შემოსავალი		0
მიმდინარე პერიოდის შემოსავალი		476680
მოგების გადასახადი		(52367)
წმინდა მოგება		424313

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 20 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:



დირექტორი
გიორგი ჯაფარიძე






მთავარი ბუღალტერი
ნინო შალუტაშვილი

მოგება ან ზარალისა და სხვა შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 5-10.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით


ლარი	შენიშვნა	31.12.2021	01.01.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
მიწა		2085108	2085108
შენობა-ნაგებობები		1505125	1413993
სხვა ძირითადი საშუალებები	6	15713	10751
არამატერიალური აქტივები		1762	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		3607708	3509852
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	43280	114
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	8360	70375
მარაგები			
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		100000	
სხვა მოკლევადიანი აქტივები (საგადასახადო ზედმეტობა)		0	44859
სულ მიმდინარე აქტივები		151640	115348
სულ აქტივები		3759348	3625200
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		0	0
ძირით. საშუალების გადაფასების რეზერვი		3552717	3552717
გაუნაწილებელი მოგება		171334	43768
სულ საკუთარი კაპიტალი		3724051	3596485
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები		0	0
სავაჭრო ვალდებულებები		10355	13715
მყიდველებისგან მიღებული ავანსები	8	0	
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები		13000	15000
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	10	11942	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		35297	28715
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3759348	3625200

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 20 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:



დირექტორი
გიორგი ჯაფარიძე





მთავარი ბუღალტერი
ნინო შალუტაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 5-10.

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ექსკალიბური“ რეგისტრირებული არის “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომლიც დარეგისტრირდა 1996 წლის 8 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი ვაგზლის მოედანი #2. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 03/4-240 ს/კ 202901333;

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

დამფუძნებლები	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
ჯემალ გიგუაშვილი	30%	20%
ზვიად აბაშიძე	30%	20%
ლია პირველი	20%	20%
მაკა ბოკუჩავა	20%	20%
თინათინ იაშაღაშვილი	0	20%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

4. შემოსავალი

ლარი	2021 წ.
იჯარის შემოსავალი	773451
ელექტრო ენერგიის შემოსავალი	78965
ტრანსფორმატორის მომსახურება	13710
არასაოპერაციო შემოსავალი	7828
სულ შემოსავალი	873954

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	2021 წ.
შრომის ანაზღაურება	135456
ბანკის %	70
საკონსულტაციო მომსახურება	8925
საიჯარო ქირა	12203
კომუნალური გადასახადები	84409
ცვეთა და ამორტიზაცია	2597
საპენსიო ფონდი	826
საგდასახადო ხარჯი	68303
სხვა	22339
არასაოპერაციო ხარჯი	114513
	0
სულ	449641

6. ძირითადი საშუალებები

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა ღირ. 2021 წლის 31 დეკემბერს
შენობა ნაგებობა	1413993	91132	0	0	1505125
მანქანა-დანადგარები	10498	0	0	2100	8398
ოფისის აღჭურვილობა და ტექნიკა	253	7558	0	497	7314
არამატერიალური აქტივი	0	1763	0	0	1763
მიწა	2085108	0	0	0	2085108
სულ ძირითადი საშუალებები	3509852	100453	0	2597	3607708

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2021 წ.
სავაჭრო მოთხოვნები	43280
გადახდილი ავანსები	100000
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	143280

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2021 წ.
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	10355
მიღებული ავანსები	0
საგადასახადო ვალდებულებები	11942
ვალდებულებები საწარმოს მესაკუთრეების წინაშე	13000
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	35297

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა 8360 ლარის ფულადი

სახსრები, მათ შორის: საბანკო ანგარიშებზე 702 ლარი, ხოლო სალაროში 7658 ლარი.

10. გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშსწორება ხდება ერთიან სახელმწიფო საბაზინო ანგარიშზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საგადასახადო ვალდებულება შეადგენდა 11942 ლარს.

11. დაკავშირებული მხარეები

(ა) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(i) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

ლარი	2021 წელი
ხელფასები და სხვა სარგებელი	, 135456

12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

(ა) შემოსავალი

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით,

(ბ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები


რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები


სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.



დირექტორი
გიორგი ჯავახიძე



მთავარი ბუღალტერი
ნინო შალუტაშვილი